სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს

მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილება N01-01/04

(ოქმი N2)

ქ. ბათუმი 01 თებერვალი 2021 წ

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს მონიტორინგის/ხარისხის კონტროლის სამსახურის ყოველთვიური და ყოველკვარტალური ანგარიშის ფორმის დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონის 35^7 მუხლის 1-ლი პუნქტის და სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს მრჩეველთა საბჭოს რეგლამენტის (მიღებული: 14.07.2016) მე-16 მუხლის საფუძველზე:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს მრჩეველთა საბჭოს 2018 წლის 30 ოქტომბრის N01-01/22 (ოქმი N14) გადაწყვეტილება, სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს მონიტორინგის/ხარისხის კონტროლის სამსახურის ყოველთვიური და ყოველკვარტალური ანგარიშის ფორმის დამტკიცების შესახებ;

2. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის. ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. N30) ერთი თვის განმავლობაში მისი გამოქვეყნების დღიდან;

3. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ვებ-გვერდზე ,,ajaratv.ge'';

4. გადაწყვეტილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის

აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს

მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე გიგა ჩხარტიშვილი